განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

17-18 სექტემბერი, 2019 წ

დასკვნის წარდგენის თარიღი:

29 ოქტომბერი, 2019 წ.

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფარმაციის მაგისტრი 0916
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა შაშიაშვილი- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურიტექნოლოგიები" შემუშავდა 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის: „სამრეწველო ფარმაცია" და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია", საფუძველზე. აღნიშნული პროგრამები ხორციელდებოდა 2007 წლიდან. მათი აკრედიტაცია მოხდა 2011 წელს. 2011 წლიდან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიცდიდა მუდმივ ცვლილებებს და ორიენტირებული იყო ახალი გამოწვევების დაკმაყოფილებაზე: კერძოდ, კარგი საწარმოო პრაქტიკის პრინციპების დანერგვაზე ქართულ ფარმაცევტულ საწარმოებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ფარმაციასა და კოსმეტოლოგიაში, ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ბაზრის ცვლილებებზე, დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებაზე და ა.შ.

ახალი პროგრამის შემუშავება განპირობებული იყო იმით, რომ ბოლო პერიოდში წამლის სამრეწველო წარმოებასთან ერთად შეიმჩნევა მზარდი მოთხოვნები აფთიაქებში ექსტემპორალური წამალთ ფორმების დამზადების საჭიროებაზე. დღეისათვის 200-მდე დასახელების მოთხოვნადი წამალი სერიულად არ იწარმოება, შედეგად შეიქმნა აუცილებლობა სპეციალისტების მომზადებისა აფთიაქებისათვის ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში. აფთიაქებში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა კოსმეტიკურ-პარფიუმერული პროდუქციის ხვედრითი წილი, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში სადაც კოსმეტოლოგიური პროდუქცია არ ექვემდებარება რეგულაციას და მისი ასორტიმენტი დიდი ტემპებით იზრდება, მომხმარებელზე ზრუნვისა და მათი დაცვის მიზნით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მომხმარებელს გაუწიონ კონსულტაციები მათი სწორად შერჩევისა და გამოყენების სამედიცინო-ბიოლოგიური ასპექტების შესახებ. ასევე ქვეყანაში აქტიურად ფუნქციობს კოსმეტიკური, „სპა" და ესთეთიკური ცენტრები, სადაც მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და ეფექტიანი კოსმეტიკურ-პარფიუმერული პროდუქციის დამზადება, შერჩევა და რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით. ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობას ასევე ადასტურებს დღემდე მოქმედი ორი სამაგისტრო საგანმანა-თლებლო პროგრამის: „სამრეწველო ფარმაცია" და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია" დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები. აღნიშნულ პროგრამებთან შედარებით მოწოდებული პროგრამა აფართოებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს და შესაბამისად დასაქმების სფეროებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ახალი პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა უცხოური კერძოდ უკრაინის ნაციონალური უნივერსიტეტის (ქ. ხარკოვი), ლუბლიანას უნივერსიტეტის (სლოვენია) და მარსელის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ანალოგიური და მონათესავე პროგრამების განხორციელების გამოცდილება.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები" მოიცავს ძირითად სასწავლო კურსებს (12), მოდულებს (3), პრაქტიკას (2), არჩევით სასწავლო კურსს (14), ასევე ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

პროგრამაში შეტანილია სასწავლო კურსი: „ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები“, რომელიც სტუდენტს ამზადებს დამოუკიდებლად ინოვაციური ხასიათის კვლევის ჩასატარებლად , სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად. პროგრამაში შეტანილია 14 არჩევითი სასწავლო კურსი: ფარმაცევტული საწარმოს მენეჯმენტი, ფარმაცევტული პროდუქტის სტანდარტიზაცია და რეგისტრაცია, ქსოვილთა ბიოინჟინერია და რეგენერაციული მედიცინა, მარკეტინგის მენეჯმენტი, ნანოფარმაცია, ნანოკოსმეტოლოგია, ფიზიკური ფარმაცია, ფიზიკური კოსმეტოლოგია და პარფიუმერია, ფარმაკოგენეტიკა, ბიზნესის სამართალი, პროფილაქტიკური კოსმეტოლოგია, ფიტოკოსმეტიკური საშუალებების ტექნოლოგია, ჰიგიენური კოსმეტიკური საშუალებების ტექნოლოგია, დეკორატიული კოსმეტიკური საშუალებების ტექნოლოგია. თითოეული 2-2 კრედიტის მოცულობით, სულ 28 კრედიტი, აქედან სტუდენტი ირჩევს 10 კრედიტს. სემესტრების მიხედვით არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტები განაწილდა შემდეგნაირად: I სემესტრი - 4 კრედიტი; II სემესტრი - 2 კრედიტი; III სემესტრი - 4 კრედიტი.

აღსანიშნავია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 3 ძირითადი მახასიათებელი:

პირველი: საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ფარმაცევტულ და კოსმეტოლ-ოგიურ-პარფიუმერიულ ტექნოლოგიებში კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, რომლებიც დამოუკიდებლად განახორციელებენ ან უხელმძღვანელებენ ტექნოლოგიებს მოქმედი სტანდარტების სრული დაცვით;

მეორე: პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ ინოვაციური, სამეცნიერო სია-ხლისა და პრაქტიკული ღირებულების შემცველი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას, დასკვნების გაკეთებას და მათ გაზიარებას კოლეგებზე და დაინტერე-სებულ პირებზე;

მესამე: პროგრამა უზრუნველყოფს მოაზროვნე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამო-ყალიბებას, რომლებიც შეძლებენ ღირებულების შეფასებას, მათ დამკვიდრებაში მონაწილეობას და სწავლის გაგრძელებას აკადემიური განათლების შემდგომ ეტაპზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში განხორციელდა გასაუბრებათა სესიები, რომლის ფარგლებშიც ჩართულნი იყვნენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (მათ შორის მოწვეული), სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გასაუბრებები განხორციელდა უნივერსიტეტის **ადმინისტრაციასთან თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან** , **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ასევე ფარმაციის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომელთაც დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, შეესაბამება რა თსსუ–ის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სტრატეგიული განვითარების პოლიტიკას, ითვალისწინებს კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და

ღირებულებების შესაბამისი კომპეტენციის, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის მაგისტრების მომზადებას.

წარმოდგენილი პროგრამა არის საგანმანათლებლო, ორიენტირებულია ფარმაციის მაგისტრების მომზადებაზე, რომლებსაც ეცოდინებათ:
-ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების, ეფექტიანი, ხარ-ისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, სერიული წარმოების და შემუშავების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ტექნოლოგიური კანონზომიერებები;
-ეფექტიანი და უსაფრთხო კოსმეტიკური ნაწარმის გამოყენება სამედიცინო–ბიოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით;
-ფარმაცევტულ და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერულ ტექნოლოგიებში თანამედროვე ტენ-დენციების, კვლევების, კვლევის მეთოდების და მათი შესაძლებლობების გამოყენება;

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულება, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ სრულ შესაბამისობაშია თითოეულ აკრედიტაციის სტანდარტთან, რაც გათვალისწინებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან. პროგრამის შესაბამისობა სტანდარტების მოთხოვნებთან დაფუძნებულია პროგრამის ღრმა ანალიზზე, თვითშეფასებს ანგარიშსა და გამოკითხვების შედეგებზე ვიზიტის განმავლობაში.

პროგრამის მიზანი გამომდინარეობს დასაქმების ბაზრის მზარდი მოთხოვნიდან ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერული პროდუქციის ტექნოლოგებზე. იგი ორიენტირებულია დამსაქმებლისათვის და მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვან ისეთ პრიორიტეტებზე, როგორიცაა მაღალი კვალიფიკაცია, შემოქმედებითი უნარი, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერული პროდუქციის შექმნა და კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენა. პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს მინიჭებული კვალიფიკაციით დასაქმებას, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულებას, დოქტურანტურაში სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას, რაც ხელს შეუწყობს, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას, ასევე შესაბამისი დარგების განვითარებას. პროგრამის მიზანში ჩანს მიღწევადობა, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვით მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ პროგრამა ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური და მიღწევადი, შესაბამისობაშია თსსუ-ს მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის

დასრულებისას. განსაზღვრულია პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი გამჭვირვალე სამართლიანი საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის დებულების მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფარმაციაში, მედიცინის სხვადასხვა მიმართულებაში, ქიმიური და კვების პროდუქტების ტექნოლოგიებში, დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

გ) შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები შედგება ტესტირებული გამოცდისაგან სპეციალობაში: „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ და უცხოური ენის (ინგლისური ენა) ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისაგან.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იქნა მოქმედი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების „სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“ კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოთხოვნები, პროგრამის სტრუქტურა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა განაწილებული, რომ სტუდენტს აქტიურ საწარმოო პრაქტიკამდე ათვისებული ექნება სპეციალობის სავალდებულო კურსები სრულად და არჩევითის ძირითადი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმია სწავლების მეთოდები. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამაში მოცემული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მეთოდები, თვალსაჩინოების (ლაბორატორიული და დემონსტრირების) მეთოდები, დისკუსია, კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობა), სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია/პოსტერი, ღია/დახურული ტესტი და ა. შ.) დაკონკრეტებულია პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კვლევითი კომპონენტი გულისხმობს მაგისტრანტის მიერ საკვლევი ობიექტების შეგროვებას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებას. ლიტერატურის საფუძველზე რეფერატების მომზადება / პრეზენტაცია გამოავლენს მაგისტრანტთა თეორიულ ცოდნას, რაც სამაგისტრო პროგრამის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ექსპერიმენტული კვლევის უნარ-ჩვევების შეძენა-გაღრმავებაში მათ დაეხმარება და ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო კურსი: ექსპერიმენტული

კვლევის მეთოდები“. ამგვარად, კვლევითი კომპონენტის შესრულების შედეგად მაგისტრანტს გამოუმუშავდება სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენცია (სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება, შედეგების პრეზენტაცია და ა.შ.).

თსსუ-ში სტუდენტის შეფასება შედგება მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისგან. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების თსსუ-ში მოქმედი წესი პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეარჩიონ სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდი და რაოდენობა. აღნიშნული წესის თანახმად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. თავის მხრივ, შუალედური შეფასება მოიცავს: მიმდინარე შეფასებებს, შუალედურ გამოცდას და შეფასების სხვა სახის კომპონენტს, რომელიც უნდა შეირჩეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა და სხვა სახის შეფასება (პრაქტიკის, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება). სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დასკვნა და რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული (წინა პროგრამების გათვალისწინებით) აკადემიური პერსონალი სისტემატურად ზრუნავს სწავლებისა და შეფასების მეთოდების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე, რაშიც მას ეხმარება ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში, ტრე-ნინგებში, ვორკშოფებში, კონფერენციებში და უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედ ტრეინინგებში მონაწილეობა. სტუდენტთა კონსულტირებას და მხარდაჭერას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის, სპორტის და ხელოვნების ცენტრის, უნივერსიტეტი ვებგვერდის და სხვა საშუალებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით სტუდენტებს კონსულტაციას გაუწევს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის სპეციალისტი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო აკადემიურ ნაწილში პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი და პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, თითოეული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. ამ მიზნით დეპარტამენტში შედგენილია პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რაც განთავსებულია დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე. კონსულტაციების დაგეგმვასა და ორგანიზებაში სტუდენტებს ეხმარება ჯგუფის კურატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური სამუშაო განრიგი.

უნივერსიტეტი ზრუნავს დასაქმებულ სტუდენტთა ხელშეწყობაზე: ძირითადად მეცადინეობები ჩატარდება საღამოს საათებში. ასევე, გაცდენილი აქტივობების (ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული/ ლაბორატორიული და სხვა) ანაზღაურება მათ შეეძლებათ საკონსულტაციო საათებში, რაც აკადემიური პერსონალის სამუშაო განრიგის ოფიციალური შემადგენელი ნაწილია. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის

ღონისძიებებს, საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან, ფარმაცევტულ საწარმოებთან და კოსმეტოლოგიურ და ესთეთიკურ ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც არიან კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები საქართველოში.
სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსსუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან პროგრამაში ჩართულია შესაბამისი ცოდნის, უნარების, ღირებულებების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე 8 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 6 ასისტენტ პროფესორი და 11 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი უახლესი აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია ასევე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია, რაოდენობა, ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და წარმატებთ განხორციელებას.

თავად პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, მუდმივი კონტაქტი აქვს სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან, ზრუნავს როგორც სტუდენტთა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროგრამებში ჩართვასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, ასევე საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

თსსუ-ში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის განვითარებასა და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა, რისთვისაც შემუშავებულია თსსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები.

თსსუ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათ მიერ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, პუბლიკაციების გამოქვეყნებას, რაც დასტურდება პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობებით. უნივერსიტეტს გააჩნია

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები; სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი და ცენტრალიზებული გათბობის სისტემებით, სველი წერტილებით, სხვადასხვა კორპუსებში მოწყობილია სველი წერტილები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. უსაფრთხოების დაცვის მიზნით კორპუსებში განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი სახანძრო ონკანები, მითითებულია ტელეფონის ნომრები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მუდმივად განახლებადია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის, ისინი ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უზრუნველყოფს პრაქტიკის ბაზებით, რისთვისაც მათთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია (უკანასკნელი აღწერით - 330058 ეგზემპლარი), მუდმივად განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სრული წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აღრიცხულია და ინახება როგორც ჟურნალებსა და მატერიალურ კატალოგებში, ასევე ელექტრონულ კატალოგში, რომლის შევსებაც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო პლატფორმა Koha-ს გამოყენებით. ელექტრონული კატალოგი განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: http://new.tsmu.edu/library/.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება მაგისტრანტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგების მიხედვით მოპოვებული გრანტით ან მათ მიერ. მაგისტრანტს ასევე შეუძლია კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად საგრანტო დაფინანსება მოიპოვოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ყოველწლიურად გამოცხადებულ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორ-ციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დეპარტამენტები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საინფორმაციო და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს თსსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შემუშავდა სტუდენტთა გამოკითხვებისა ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. პროგრამის გარე პროფესიული შეფასება განხორციელდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ნინო აბულაძის მიერ, რომელმაც მოიწონა

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ამასთან გამოთქვა სურვილები პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის. თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, განიხილება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები მოქმედ საგანმანა-თლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი.

- **რეკომენდაციები**
-
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველყოფა ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
  - სხვა უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება;
  - ფარმაცევტულ კოსმეტოლოგიასა და ტექნოლოგიაში მეტი ახალი სალექციო კურსების, სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანების მომზადება ახალი და შედარებით წინა წლების გამოცემების გადახედვით.
  - გამოკითხვის პროცესში კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობის მექანიზმის გაძლიერება;
  - საგანმათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მისიის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის, ფარმაციის ფაკულტეტის და თსსუ-ს მაგისტრატურის, დებულებების შესაბამისად, პროგრამა გულისხმობს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ფარმაცევტული, კოსმეტიკურ-პარფიუმერიული საწარმოების, აფთიაქების, კოსმეტოლოგიური, "სპა" და ესთეთიკური ცენტრებისათვის. **პროგრამის მიზნებია:** **ა) სტუდენტს/მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა/კომპეტენცია:** -ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების, ეფექტიანი, ხარ-ისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, სერიული წარმოების და შემუშავების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ტექნოლოგიური კანონზომიერებების შესახებ; -ეფექტიანი და უსაფრთხო კოსმეტიკური ნაწარმის გამოყენების სამედიცინო–ბიოლოგიური პრინციპების შესახებ; -ფარმაცევტულ და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერულ ტექნოლოგიებში თანამედროვე ტენ-დენციების, კვლევების, კვლევის მეთოდების და მათი შესაძლებლობების გამოყენების შესახებ; **ბ) სტუდენტი/მაგისტრანტი აღჭურვოს** კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) პრინციპების ცოდნით, ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად განხორციელებისა და მართვის უნარ–ჩვევებით. პროგრამის მიზანი გამომდინარეობს დასაქმების ბაზრის მზარდი მოთხოვნიდან ფარ-მაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერული პროდუქციის ტექნოლოგებზე. იგი ორიენ-ტირებულია დამსაქმებლისათვის და მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვან ისეთ პრიორიტეტებზე, როგორიცაა მაღალი კვალიფიკაცია, შემოქმედებითი უნარი, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერული პროდუქციის შექმნა და კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენა. პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს მინიჭებული კვალიფიკაციით დასაქმებას, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულებას,

დოქტურანტურაში სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას, რაც ხელს შეუწყობს, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას ასევე შესაბამისი დარგების განვითარებას. პროგრამის მიზანში ჩანს მიღწევადობა, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგებით.

პროგრამის მიზნის შემუშავება მოხდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილული და გაზიარებული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ შემუშავების სამუშაო ჯგუფის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, სამაგისტრო პროგრამების: „სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“ კურსდამთავრებულების გაერთიანებულ სხდომაზე. პროგრამის ანოტაციისა და სასწავლო გეგმის განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თსსუ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები - http://new.tsmu.edu/content/2/42/0/0/0/0
- თსსუ-ს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა - http://new.tsmu.edu/content/2/49/0/0/0/0
- თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის დებულება – http://new.tsmu.edu/images/file/1524054922-debulebebi
- თსსუ მაგისტრატურის დებულება
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
- ვებ-გვერდი www.tsmu.edu

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს. მისი შემუშავება განპირობებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კერძოდ: ბოლო პერიოდში წამლის სამრეწველო წარმოებასთან ერთად შეიმჩნევა მზარდი მოთხოვნა აფთიაქებში ექსტემპორალური წამალთ ფორმების დამზადების საჭიროებაზე. დღეისათვის 200-მდე დასახელების წამალი, რომელზეც არის მოთხოვნა, სერიულად არ იწარმოება. შედეგად შეიქმნა აუცილებლობა სპეციალისტების მომზადებისა აფთიაქებისათვის ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში. აფთიაქებში მნიშვნელო-ვანწილად გაიზარდა კოსმეტიკურ-პარფიუმერული პროდუქციის ხვედრითი წილი. აღსა-ნიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში კოსმეტოლოგიური პროდუქცია არ ექვემდებარება რეგულაციას, ამასთან მისი ასორტიმენტი დიდი ტემპებით იზრდება. აღნიშნულიდან გამომდინარე მომხმარებელზე ზრუნვისა და მათი დაცვის მიზნით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მომხმარებელს გაუწიონ კონსულტაციები მათი სწორად შერჩევისა და გამოყენების სამედიცინო-ბიოლოგიურ ასპექტებზე. ასევე ქვეყანაში აქტიურად ფუნქციობს კოსმეტიკური, „სპა“ და ესთეთიკური ცენტრები, სადაც მომხმარებლებისათვის

უსაფრთხო და ეფექტიანი კოსმეტიკურ-პარფიუმერული პროდუქციის დამზადება, შერჩევა და რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს როგორც ზოგად (ტრანსფერულ) ასევე დარგობრივ კომპეტენციებს, კურსდამთავრებულს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა: ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, სერიული წარმოების და შემუშავების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტე-ქნოლოგიური კანონზომიერებების და გამოყენებული აპარატურა-მანქანების მუშაობის პრინციპების შესახებ; ადამიანის კანის სტრუქტურის, ფუნქციების, დაავადებების და მომხმარებლისათვის ეფექტიანი და უსაფრთხო კოსმეტოლოგიურ ნაწარმის შერჩევის სამედიცინო-ბიოლოგიური პრინციპების შესახებ; ასევე, ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების შესახებ;

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- გააცნობიეროს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობა ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, სერიული წარმოებისა და შემუშავებისათვის, აგრეთვე საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის;
- დამოუკიდებლად ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავება, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადება, სერიული წარმოება, აპარატურა-მანქანების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია, ტექნოლოგიების მართვა კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) პრინციპების მიხედვით და მომხმარებლისათვის კოსმეტოლოგიური ნაწარმის შერჩევა-გამოყენებაზე კონსულტაცია.
- უზრუნველყოს ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადება, წარმოების და შემუშავების პროცესის, კომპლექსური ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის, დამოუკიდებლად, თანამედროვე მეთოდებითა და უახლესი მიდგომებით კვლევების ჩატარება;
- ფარმაცევტული, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, წარმოების, შემუშავების და კოსმეტოლოგიური ნაწარმის გამოყენების პროცესში უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ფარმაცევტულ, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიულ ტექნოლოგიებში, კვლევის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე აკადემიური პატიოსნების გათვალისწინებით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- დოქტურანტურაში სწავლის გაგრძელება. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, მისი სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმარება და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- შეაფასოს და დაამკვიდროს რესურსდამზოგავი, ეკოლოგიურად უსაფრთხო „მწვანე

ტექნოლოგიები“, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერული პროდუქციის დამზადების და წარმოების პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას ასევე შესაბამისი დარგების განვითარებას.

ახალი პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობას ადასტურებს აგრეთვე დღემდე მოქმედი ორი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების: „სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები. აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხულთა 75%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ პერსპექტიულია დასაქმებასთან მიმართებაში, ამასთან არაპერსპექტიულობაზე პასუხი უარყოფითია. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწოდებული პროგრამა აფართოებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს და შესაბამისად დასაქმების სფეროებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი (თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლისN24 /4დადგენილება)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამოკითხვის პროცესში კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობის მექანიზმის გაძლიერება;
- სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველყოფა ერთზე მეტი შემფასებლის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის დებულების მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა: ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფარმაციაში, მედიცინის სხვადასხვა მიმართულებაში, ქიმიური და კვების პროდუქტების ტექნოლოგიებში, დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; გ) შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები შედგება ტესტირებული გამოცდისაგან სპეციალობაში: „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ და უცხოური ენის (ინგლისური ენა) ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისაგან.

ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობა ხდება დაინტერესებული პირებისათვის ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, აგრეთვე საინფორმაციო ბუკლეტებით ღია კარის დღეების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს მაგისტრატურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- https://tsmu.edu
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი, რომლის მიხედვითაც მოხდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ შემუშავება. პროგრამის განხილვის დროს, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სწავლის მიზნები და შედეგები და მათზე დაყრდნობით პროგრამის ძირითადი კომპონენტები, განიხილა სასწავლო კურსების სილაბუსების პროექტები და შესაფასებლად გადასცა კურიკულუმის კომიტეტს. კურიკულუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამა განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. საბოლოოდ პროგრამა დაამტკიცდა თსსუ აკადემიური საბჭოს მიერ. ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იქნა მოქმედი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების „სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“ კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოთხოვნები, კერძოდ: კურსდამთავრებულები გამოხატავენ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის, მიღწევების და სამეცნიერო სიახლეების გაცნობის საჭიროებას. კერძოდ, მათი დიდი ნაწილი საუბრობს პროექტების, კონფერენციების, ტრენინგებისა და ვორქშოფების საჭიროებაზე, ასევე აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა გამოთქვამს სურვილს ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრების თვალსაზრისით. კურსდამთავრებულები ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ თანამედროვე ტექნოლოგიების და უცხო ენების ფლობის აუცილებლობას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ მოცულობაა 120 კრედიტი. მათ შორის 90 კრედიტი ეთმობა პროფილურ

სასწავლო კურსებს (64 კრედიტი - სავალდებულო, 10 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები), 16 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას, 30 კრედიტი - კვლევას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. არჩევითი სასწავლო კრედიტების რაოდენობა შეადგენს 28 კრედიტს, აქედან სტუდენტი ირჩევს 10 კრედიტს. პროგრამის თითოეული კომპონენტი ისეა აგებული, რომ მისი მოცულობა, სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრადიციულ და ახალი თაობის სამკურნალწამლო ფორმების და სისტემების დიზაინს და ტექნოლოგიებს. სტუდენტები დამოუკიდებლად ეცნობიან სიახლეებს, სწავლობენ და აკეთებენ მიზანმიმართული მიწოდების ფორმებსა და სისტემებს. ამასთან სწავლობენ მომზადებული ფორმებისა და სისტემების კეთილხარისხოვნების მაჩვენებლებს. გამოყენებულია წერითი, ვერბალური, პრაქტიკული, დისკუსია, და ა.შ. მეთოდები. მოწოდებული მიდგომა უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების გამომუშავებას. აღნიშნულ სასწავლო კურსებში ძირითადად საკონტაქტო საათების ¼ ეთმობა ლექციას, ხოლო ¾ კი ჯგუფში მუშაობას/პრაქტიკულ მეცადინეობებს.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სხვა სავალდებულო სასწავლო კურსებს, კერძოდ: ბიოფარმაციას, ბიოტექნოლოგიას, ჰომეოპათიური საშუალებების ტექნოლოგიას, ფარმაცევტულ და კოსმეტოლოგიურ ინჟინერიას და წამლისა და პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციის ანალიზის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს. ეს გამოუმუშავებს სტუდენტს დარგობრივ კომპეტენციებს. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებსაც.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნისა და შედეგების მიღწევას.

სასწავლო კომპონენტის გარდა პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტსა და პრაქტიკას. პრაქტიკისთვის პროგრამაში 16 კრედიტია გამოყოფილი. III სემესტრში სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში (8 კრედიტი) და ფარმაცევტულ კოსმეტოლოგიაში (8 კრედიტი). ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში პრაქტიკას გადიან ფარმაცევტულ საწარმოებში და აფთიაქების ექსტემპორალურ განყოფილებებში, სადაც სტუდენტები ახორციელებენ ტექნოლოგიურ პროცესებს კსპ-ის წესების დაცვით; ფარმაცევტულ კოსმეტოლოგიაში სტუდენტები პრაქტიკას გადიან აფთიაქების კოსმეტიკურ-პარფიუმერულ განყოფილებებში, კოსმეტოლოგიურ, „სპა“ და ესთეთიკურ ცენტრებში, სადაც სტუდენტები დამოუკიდებლად მომხმარებლებს კანის ბიოლოგიის გათვალისწინებით ურჩევენ კოსმეტიკურ-პარფიუმერულ ნაწარმს და უწევენ კონსულტაციას მათი გამოყენების შესახებ.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე, პროგრამით გათვალისწინებულმა სასწავლო კურსმა - „ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები“, ხელი უნდა შეუწყოს მაგისტრანტების კვლევითი უნარების განვითარებას, საკუთარი კვლევის დაგეგმვას და ჩატარებას.

პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის ანოტაციისა და სასწავლო გეგმის განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის N24/2 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი.
- თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N7, 2018 წლის 25 აპრილის დადგენილება ,,თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის საგანმათლებლო პროგრამებზე სამუშაო ჯგუფების დამტკიცების შესახებ.
- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი (თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის N23/3 დადგენილება).
- ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი N3 (23.02.2019 წ).
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამასტკიცებლად წარდგენის შესახებ სხდომის გადაწყვეტილება (25.02.2019 წ)
- სილაბუსები;
- ვებგვერდი https://tsmu.edu ;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ➢
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულმა სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები", კომპონენტები. მათი ერთობლიობა მიმართულია კურსდამთავრებულში დარგისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისკენ და წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ისეა აგებული, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსები გამომდინარეობს ერთმანეთისაგან, შინაარსობრივად თანმიმდევრულია და ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. სამუშაო ჯგუფმა, კურსის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, დეტალურად განიხილა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კურსის შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და მეთოდები, რომლითაც სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილია კონკრეტულ შედეგზე გასვლა. მოხდა მიღებული რეკომენდაციების მიხედვით სილაბუსებში ცვლილებების შეტანა და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა იქნა გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრის დროსაც. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პრო-გრამაში არის 2,3,4,5 -კრედიტიანი სასწავლო კურსები, 4,6 და 8 კრედიტიანი სასწავლო მოდული, და 8-8 კრედიტიანი პრაქტიკა, რომელთა განაწილებაც მოხდა სასწავლო კურსის/მოდულის, პრაქტიკის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი სამუშაოები გატარდა სწავლების მეთოდების შერჩევის დროსაც. მთავარი აქცენტი გადატანილ იქნა სწავლის შედეგების მისაღწევად რელევანტური მეთოდებისა და აქტივობების შერჩევაზე. ლიტერატურა მოიპოვება თსსუ-ის ბიბლიოთეკაში, დეპარტამენტებში და პრაქტიკის ბაზებზე. გარდა ამისა, შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო მასალის გამოყენება ადგილზე. თსსუ–ის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები" საჭიროებისათვის ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. თსსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინდივიდუალური გეგმები - თსსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის №24/2 დადგენილება.
- საგანმათლებლო პროგრამის შედგენისა და განვითარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები.
- სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.
- სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდეუილების სილაბუსები.
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N24/3 დადგენილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
- მაგისტრატურის დებულება.
- ელსევიერისა და კლარივაიტის ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის თანაფარდობა. აღნიშნული უნარების მისაღწევად, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს. პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტის განხორციელების საშუალება სტუდენტს ეძლევა საწარმოო პრაქტიკის გავლით, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამაში 16 კრედიტი ეთმობა. პრაქტიკის სილაბუსში, სწავლის შედეგებთან ერთად, აღწერილია მათი მიღწევის გზები და შეფასების კრიტერიუმები. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული არიან პრაქტიკის ბაზების წამყვანი სპეციალისტები, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. საწარმოო პრაქტიკასთან ერთად სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას ხელს უწყობს სასწავლო კურსები/მოდულები - ფარმაცევტული ტექნოლოგიები, კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქციის ტექნოლოგიები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტი სწავლას უთავსებს პრაქტიკულ საქმიანობას, რაც აგრეთვე ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში, გამოიმუშაონ კვლევისათვის საჭირო უნარ–ჩვევები, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს შესრულება არის შეუცვლელი ფორმა სტუდენტთა სწავლებისა, როგორც საშუალება მათი ინოვაციურ საქმიანობაში ჩართულობისა. სტუდენტი სწავლობს ასევე სამეცნიერო დოკუმენტაციის გაფორმებას. ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტს, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის ფარგლებში. იგი აწარმოებს ექსპერიმენტულ კვლევებს შედეგებს ასახავს სამაგისტრო ნაშრომში. შედეგები მოხსენების სახით გამოაქვს სამეცნიერო კონფერენციებზე/აქვეყნებს თსსუ-ს შრომათა კრებულში ან სხვა სამეცნიერო ჟურნალებში. ერთხელ წელიწადში ტარდება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე სამეცნიერო ღონისძიებებში მოწმობს მათი მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ფარმაცია“ მაგისტრანტების: ძირითადი სასწავლო კურსი - „ექსპე-რიმენტული კვლევის მეთოდები“, კვლევითი უნარების გამომუშავების გარდა, დაეხმარება მათ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს მაღალკვალიფიციური პირის ხელმძღვანელობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების რუკა
- სასწავლო კურის/მოდულების სილაბუსები
- პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პრაქტიკის განმახორციელებლ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელსეკრულებები
- სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამების ,,სამრეწველო ფარმაცია“ და ,,ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელების გამოკითხვები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; პროგრამაში მოცემული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მეთოდები, თვალსაჩინოების (ლაბორატორიული და დემონსტრირების) მეთოდები, დისკუსია, კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობა), სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია/პოსტერი, ღია/დახურული ტესტი და ა. შ.) დაკონკრეტებულია პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც გამოიხატება მეთოდების მრავალფეროვნებაში.

პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს უწყობს მეთოდები: შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული, პრაქტიკული და ა. შ. მაგისტრანტის პრაქტიკული საქმიანობა გულისხმობს მაგისტრანტის აქტიური ჩართულობას პრაქტიკულ მუშაობაში პრაქტიკის ბაზებზე, სადაც პრაქტიკული უნარების დემონსტრირება ხორციელდება პრაქტიკის ხელმძღვანელის ან კვალიფიციური პერსონალის ზედამხედველობით.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს მაგისტრანტის მიერ საკვლევი ობიექტების შეგროვებას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებას. ლიტერატურის საფუძველზე რეფერატების მომზადება / პრეზენტაცია გამოავლენს მაგისტრანტთა თეორიულ ცოდნას, რაც სამაგისტრო პროგრამის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ექსპერიმენტული კვლევის უნარ-ჩვევების შეძენა-გაღრმავებაში მათ დაეხმარება სასწავლო კურსი: ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები“.

მაგისტრანტთა დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯულ დროს და შრომას, რომელიც ხმარდება ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავებას და ათვისებას.,

ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას ხელს უწყობს ვერბალური მეთოდები, კოოპერაციული მუშაობა, ინდუქცია, დისკუსია, პრეზენტაცია და ა. შ.

მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში, ხოლო სასწავლო პროცესში მათი გამოყენების ეფექტიანობა დგინდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. მონიტორინგი ჩატარდება პროგრამის ხელმძღვანელის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შედგება **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რითაც ისინი ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით, ასევე მოხდება სასწავლო პროცესში სტუდენტთა კულტურული კონტექსტის გათვალისწინებაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები; ▪ სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები; ▪ სტუდენტის ინდივიდულაური სასწავლო გეგემის შემუშავების წესი (თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 დეკემბრის N24/2 დადგენილება); ▪ თსსუ-ს ხარისხის უზრუბველყოფის სამსახურის დებულება (თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 მარტის N23/3 დადგენილება)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ში სტუდენტის შეფასება შედგება მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისგან. მოქმედი წესი პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შეარჩიონ სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდი და რაოდენობა. **სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.** o შუალედური შეფასება მოიცავს: მიმდინარე შეფასებებს, შუალედურ გამოცდას და სხვა კომპონენტს, რომელიც უნდა შეირჩეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებია: პრაქტიკული/თეორიული სამუშაო. o დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა და სხვა სახის შეფასება (პრაქტიკის, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულას შეადგენს, საიდანაც შუალედურ შეფასებას შეიძლება დაეთმოს 60 ქულა და დასკვნით გამოცდას - 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი (არა მხოლოდ ტესტირებული), ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) ფორმით. დასაშვებია აგრეთვე მხოლოდ ზეპირი ან ტესტირებული და ა.შ. ფორმით ჩატარება. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით კომისიური წესით, რომელიც სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს აფასებს შემდეგნაირად: ,,საუკეთესო“, ,,ძალიან კარგი“, ,,კარგი“, ,,საშუალო“, ,,დამაკმაყოფილებელი“, რომელთა მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად, გამსწორებელი ვალდებულია, უკუკავშირის მიზნით შეფასებულ ნაშრომზე გააკეთოს წერილობითი განმავითარებელი კომენტარები და განმარტოს, კონკრეტულად რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. შეფასებული ნაშრომი მიეწოდება სტუდენტს გასაცნობად. ამგვარი მიდგომა სტუდენტს აძლევს საშუალებას გაიაზროს დაშვებული შეცდომები და დაგეგმოს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. მიღებული შეფასებით უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს გასაჩივრების მექანიზმი. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დასკვნა და რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სისტემატურად ზრუნავს სწავლებისა და შეფასების მეთოდების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე, რაშიც მას ეხმარება ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებში, ვორკშოფებში, კონფერენციებში და უნივერსიტეტის კვალიფიკაციის

ასამაღლებელი მუდმივმოქმედ ტრეინინგებში მონაწილეობა.

გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ ჯამურად მიღებულ შუალედურ შეფასებათა ჯამით და მაქსიმალური საგამოცდო შეფასებით (ასეთის მიღების შემთხვევაში) მას უგროვდება 51 და მეტი ქულა. გამოცდის ჩაბარებისათვის მინიმალური ზღვარი არის 20 ქულა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების თვალსაჩინოებისათვის მაგალითის სახით მოგვყავს მოწოდებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის: „კანის სტრუქტურა და ფუნქციები“(ესთეზიოლოგია, ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, კანის ბიოქიმია) შეფასების სისტემა: მოდულით გათვალისწინებული საკითხების საბოლოო შეფასება ხორციელდება ასქულიანი სისტემით სილაბუსის დანართში მოცემული შინაარსით. საბოლოო შეფასება წარმადგენს შუალედური შეფასებისა (0-60 ქულა) და დასკვნითი გამოცდის (0-40 ქულა) შეფასებათა ჯამს. მოდულში შუალედური შეფასების კომპონენტები განაწილებულია შემდეგნაირად:

დასწრება მეცადინეობებზე - 6 ქულა (1,0+1,0+2,0+2,0),

აკადემიური აქტივობა – 30 (7+7+8+8) ქულა,

ჩათვლა/კოლოკვიუმი - 24 (6+6+6+6) ქულა.

კურაციული სწავლების პროცესში თანაბრად მნიშვნელოვანია დასწრება, ცოდნის თანმიმდევრული შეძენა და აქტიური მონაწილეობა ყოველდღიურ დისკუსიაში, რაც ასახულია დასწრებისა და აკადემიური აქტივობის შეფასებათა განაწილებაში. ჩათვლა/კოლოკვიუმი აჯამებს მიღებულ ცოდნას, ტარდება ტესტირებული ფორმით; ჩათვლას/კოლოკვიუმს აქვს გარკვეულწილად განმავითარებელი მნიშვნელობა მაგისტრანტისათვის, ეხმარება რა მას მიღებული ცოდნის საკმარისობის და საფუძვლიანობის თვითშეფასებაში.

დასკვნითი გამოცდა მოიცავს მოდულის ყველა შემადგენელ დისციპლინას და მისი მაქსიმალური შეფასებაა 40. გამოცდა ტარდება ტესტირებული ფორმით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება 20 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში.

მეცადინეობებზე ფიზიოლოგიასა და ბიოქიმიაში სტუდენტის აკადემიური აქტივობა მეცადინებათა განრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით ფასდება ორქულიანი სისტემით (0,5-ქულიანი ბიჯით: 0 - 0,5 - 1 - 1,5 - 2), ანუ შეფასების საზომი კრიტერიუმი/ერთეული არის ქულა; შეფასების ინდიკატორებია: გეგმიური თემატური საკითხების აკადემიური მომზადების ხარისხი, ინტერაქტივში ჩართულობა, შემეცნებითი აქტივობა. შეფასება ფორმდება მეცადინეობის დასრულებისას და იგი ცნობილია სტუდენტისთვის; კურაციის განმავლობაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მაქსიმუმ 4 ორქულიანი შეფასება (ე.ი. სულ მაქსიმუმ 8 ქულა; პირველ მეცადინეობაზე სტუდენტის შეფასება არ ხორციელება. შეფასების ლოგიკა შეესაბამება სილაბუსის დანართში მოცემულ მახასიათებლებს და ადაპტირებულია კონკრეტული მეცადინეობის თემატიკასა და შეფასების სკალასთან).

მეცადინეობებზე ესთეზიოლოგიასა და კანის ჰისტოლოგიაში მაგისტრანტის შუალედური (კურაციული) შეფასების ალგორითმი ზემოთ მოყვანილის ანალოგიურია; განსხვავება არის მხოლოდ შესაძლო მაქსიმალურ მისაღებ ქულათა ჯამში, რომლიც შეადგენს 7 ქულას: ესთეზიოლოგიასა და კანის ჰისტოლოგიაში კურაციის მესამე დღეს მაგისტრანტის შეფასება ხორციელდება 0-0,5-1 ქულით შეფასების უკვე აღწერილი ლოგიკით.

კურაციის ბოლო მეცადინეობაზე, გეგმიური მასალის განხილვის შემდეგ, ტარდება ჩათვ-ლა/კოლოკვიუმი. ჩათვლის/კოლოკვიუმის მეთოდი/ფორმა გასაუბრება/დიალოგია, შეფასების საზომი კრიტერიუმი/ერთეული – ქულა. თემატური ცოდნისთვის მნიშვნელოვანია მიზეზ-შედეგო-ბრივი აზროვნება, რისი გამოვლინების უკეთეს საშუალებასაც გამოკითხვის ინტერაქტიური ფორმა იძლევა. ჩათვლა/კოლოკვიუმი ტარდება ღიად, გამჭვირვალედ, სტუდენტთა თანდასწრებით და კეთილგანწყობილ, პირობითობისგან გათავისუფლებულ აკადემიურ ვითარებაში. ჩათვლის/კოლოკვიუმის ზეპირი ფორმით ჩატარების დროს ბილეთში 6 საკითხია, ქულობრივი შეფასების დიაპაზონია 0-6 (0,5-ქულიანი ბიჯით: 0-0,5-1 - - 5,5 - 6; შეფასების ლოგიკა შეესაბამება

სილაბუსის დანართში მოცემულ მახასიათებლებს და ადაპტირებულია კოლოკვიუმის შინაარსსა და შეფასების სკალასთან). კოლოკვიუმის შეფასება ფორმდება „ექსტემპორე“, მაგისტრანტის თანდასწრებით და ცნობილია მისთვის.

გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: გამოცდაზე დაიშვება მაგისტრანტი, თუ მოდულის ფარგლებში, ჯამურად მიღებულ შუალედურ შეფასებათა ჯამით და მაქსიმალური საგამოცდო შეფასებით (ასეთის მიღების შემთხვევაში) მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა.

სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, დივერსიფიცირებულია, მორგებულია თითოეული კურსის სილაბუსს/სპეციფიკას და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი; თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას; შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს მაგისტრატურის დებულება
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის N24/1 დადგენილებით დამტკიცებული ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტების მიღწევების შეფასების წესი“
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის N24/1 დადგენილებით დამტკიცებული ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდების ჩატარების წესი“
- სასწავლო კურების/მოდულების სილაბუსები
- ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები
- პროპგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კვლევითი კომპონენტის შეფასების უზრუნველყოფა ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
- სასურველია შეფასებაში გარეშე ექსპერტის ჩართულობაც: სხვა უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების განხორციელება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ სტუდენტთა კონსულტირებას და მხარდაჭერას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტებთან და კურსდამ-თავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის, სპორტის და ხელოვნების ცენტრის, უნივერსიტეტი ვებგვერდის და სხვა საშუალებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით სტუდენტებს კონსულტაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის სპეციალისტი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო აკადემიურ ნაწილში პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი და პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, თითოეული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. ამ მიზნით დეპარტამენტში შედგენილია პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რაც განთავსებულია დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე.

კონსულტაციების დაგეგმვასა და ორგანიზებაში სტუდენტებს ეხმარება ჯგუფის კურატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური სამუშაო განრიგი.

უნივერსიტეტი ზრუნავს დასაქმებულ სტუდენტთა ხელშეწყობაზე: ძირითადად მეცადინეობები ჩატარდება საღამოს საათებში. ასევე, გაცდენილი აქტივობების (ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული/ ლაბორატორიული და სხვა) ანაზღაურება მათ შეეძლებათ საკონ-სულტაციო საათებში, რაც აკადემიური პერსონალის სამუშაო განრიგის ოფიციალური შე-მადგენელი ნაწილია.

თსსუ-ს გააჩნია მუდმივად განახლებადი ინფორმაციული ვებგვერდი, სხვადასხვა ოფიციალური სოციალური ქსელი (Facebook), რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას თსსუ-ში დაგეგმილი კონკრეტული აქტივობების შესახებ.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის უპირველესი ფუნქცია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაა. ამ მიზნით, აღნიშნული სამსახური და ცენტრი ახორციელებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას და ყოველდღიური საქმიანობით დაკავშირებულია თითოეულ სტუდენტთან, სტუდენტთა თვითმმართველობასთან და სტუდენტთა სხვა გაერთიანებებთან.

სტუდენტთა მომსახურების პროცესში აქტიურადაა ჩართული თსსუ-ს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურიც, რომელიც კონსულტაციასა და მონიტორინგს უწევს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებას.

სამეცნიერო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში მაგისტრანტთა ჩართულობაზე აგრეთვე ზრუნავს: ევროპის ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაცია (EPSA), სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება და ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაცია.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პროექტებში ფიქსირდება მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, რაც აიხსნება ენის ბარიერით, ამ მიზნით სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად და საკონკურსო შერჩევისთვის მიზანშეწონილი იქნება ტესტირება უცხოურ ენის ფლობის დონის განსაზღვრისთვის.

საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, საზაფხულო სკოლების, კონფერენციებისა და მობილობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას, ფაკულ-

ტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, უძღვება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც ახდენს ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, თანამშრომლობით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოთავაზებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვის მიზნით.

სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს, საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან, ფარმაცევტულ საწარმოებთან და კოსმეტოლოგიურ და ესთეთიკურ ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც არიან კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები საქართველოში. აღნიშნულ დაწესებულებებს აქვთ სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის საინტერესო ფორმები, იმისათვის რომ სტუდენტმა მათზე შეაჩეროს არჩევანი სტაჟირების ან მომავალი დასაქმებისათვის.
ფაკულტეტის დეკანატი და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების შესახებ, აკავშირებს პოტენციურ დამსაქმებელთან, უწევს რეკომენდაციას და ეხმარება კურსდამთავრებულს პროფესიულ წინსვლაში.

სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები ასახულია თსსუ–ის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებში – წესდებაში, შინაგანაწესში და ეთიკის კოდექსში, თვითმმართველობის დებულებაში და სხვა. სტუდენტის ძირითადი უფლებები, ისევე როგორც მოვალეობები, მათ შორის – ფინანსურიც, გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტუდენტებს უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნენ უნივერსიტის მართვის ორგანოებში: ფაკულტეტის საბჭოებში - 25% შემადგენლობით, წარმომადგენლობით საბჭოში - არანაკლებ 1/3. ვინაიდან აკადემიურ საბჭოს ირჩევს ფაკუტეტის საბჭოს წევრები მათ ირიბად შეუძლიათ ჰყავდეთ მათ მიერ მხარდაჭერილი აკადემიური საბჭოს წევრები. თსსუ–ის ვებ–გვერდზე განთავსებულია დოკუმენტები, რომელიც სტუდენტთა უფლება–მოვალეობებს არეგულირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს წესდება
- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N23/3 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ-ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულება
- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის N23/15 დადგენილებით დამტკიცებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის ცენტრის დებულება
- თსსუ-ს შინაგანაწესი
- თსსუ-ს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის სამსახურის დებულება

- თსსუ-ს ეთიკის კოდექსი
- სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი
- თსსუ-ს საგანამათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის ფორმების გამოყენების, გაცემისა დაღიცხვა-ანგაროშების წესი
- ხელშეკრულების ნიმუში თსსუ-სა და მაგისტარნტების/სამაგისტრო პროგრამაზე მოწვეულ მასწავლებლებს/სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს/სამაგისტრო პროგრამის სპეციალისტებს შორის
- თსსუ-ის ვებ.გვერდი
- თსსუ-ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საერთაშორისო პროექტების განვითარებისთის ენის ბარიერის დაძლევა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ს შემუშავებული აქვს, როგორც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსსუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროფილის მაგისტრი, დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით. დოკუმენტურად არ არის გაწერილი თუ რამდენი მაგისტრანტი შესაძლებელია ჰყავდეს ხელმძღვანელს.

სამაგისტრო თემას მაგისტრანტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მაგისტრანტის ინტერესების შესაბამისად და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.

სტუდენტისთვის ხელმძღვანელის გამოყოფის დროს ხდება პერსონალის კვალიფიკაციისა და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტთან, რისთვისაც მას დატვირთვაში გამოეყოფა საკონტაქტო საათები, სამუშაოს ნაწილს კი სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათების ხარჯზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს როგორც ნაშრომის თეორიულ ნაწილთან, ასევე კვლევასთან და სამაგისტრო ნაშრომის დაწერასთან დაკავშირებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის შეთავაზება ხდება დარგის სიახლეებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დარგის სიახლეების ცოდნის აუცილებლობას ადასტურებს დამსაქმებლების გამოკითხვებიც, კერძოდ კომენტარებით ირკვევა, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კურსდამთავრებულთა მიერ ინოვაციების ცოდნის აუცილებლობაზე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება მაგისტრანტი, რომელსაც სრული მოცულობით აქვს შესრულებული სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი და წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის N24/2 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროპგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“
- თსსუ-ს მაგისტრატურის დებულება

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) და მოწვეული პერსონალის (მასწავლებელი) მიერ. უნივერსიტეტში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და თსსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად, კონკურსის წესით, რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, ხდება დარგის კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა/მოწვევა აკადემიური პერსონალის ფუნქციები დამტკიცებულია ფაკულტეტის დებულებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან პროგრამაში ჩართულია შესაბამისი ცოდნის, უნარების, ღირებულებების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე 8 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 6 ასისტენტ პროფესორი და 11 მოწვეული პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი რესურსის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია საიმისოდ, რომ უზრუნველყონ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, რაც დასტურდება მათ მიერ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებითა და გამოქვეყნებული შრომებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებიდან და პერსონალის CV-დან.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის საათების გადანაწილება კონკურსის საფუძველზე შერჩეულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე. ამის საფუძველზე გამოიცემა თსსუ-ს რექტორის ბრძანება და ფორმდება ხელშეკრულებები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად. ვინაიდან პროგრამას ძირითადად ახორციელებს თსსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, საუნივერსიტეტო რეგულაცია მოითხოვს ამ პერსონალის სამუშაო ადგილზე ყოფნას სამუშაო საათებში (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით - კვირაში არანაკლებ 5 დღისა და არაუმეტეს 40 საათისა). შესაბამისად, აღნიშნული პერსონალი ჩართული იქნება როგორც სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში; აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან შეადგენს 19/11.

პროგრამის ხელმძღვანელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელსაც დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მოსკოვის ფარმაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1987 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტში ჯერ ასისტენტად (1991 წლამდე) შემდეგ დოცენტად (2000 წლამდე) და 2000 წლიდან პროფესორად და დეპარტამენტის ხელმძღვანელად. აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესების მართვისა: 1994 წლიდან 2005 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი. 2008-2015 წლებში მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. ასევე გააჩნია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელ-მძღვანელობის გამოცდილებაც. 2007 წლიდან ხელმძღვანელობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს „სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“. მიმდინარე პერიოდში არის ,,ერაზმუს +“-ის 2 საგრანტო პროექტის მონაწილე. როგორც პროგრამების ხელმძღვანელი, აქტიურადაა ჩართული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში, მუდმივი კონტაქტი აქვს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სისტემატურად ახდენს მათ ინფორმირებას მოთხოვნების, მარეგულირებელი წესების, სიახლეების, ვაკანსიების და ა. შ. შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ პრობლემების გადაჭრაში და რაც მთავარია, მაქსიმალურად უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ზრუნავს სტუდენტების ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში ჩართვაზე.

თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “ფარმა-ცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ განხორციელების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, ჩართული იქნება სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალი (ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის 2 სპეციალისტი), რომლებიც პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესორ-მასწავლებლებს ეხმარებიან, როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებაში, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებაში. მათი ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციაში და ხელშეკრულებაში. მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ სტუდენტებთან და მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ პროგრამების განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები.
- თსსუ-ში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის რეგლამენტი.
- თსსუ-ის დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი.
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი.
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე.
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტი.
- თსსუ საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა.
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი.
- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის განვითარებასა და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა, რისთვისაც შემუშავებულია თსსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები.

თსსუ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ შესაბამისად, ხარისხის უზრუნ-ველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. იგი ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს. ასევე, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვას, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობას და სხვ.

აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის №23/6 დადგენილებით დამტკიცებული „თსსუ-ში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტის“, საფუძველზე, ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და პროფესორის თანამდებობაზე, კანდიდატმა სხვა

დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები), რომლის საფუძველზე საკონკურსო კომისია შეფასების ფორმაში აფიქსირებს დასაბუთებას კონკურსანტის ვაკანსიასთან შესაბამისობის შესახებ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 30 პერსონალიდან 19 თსსუ-სთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირია. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რასაც ადასტურებს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების მიერ გამოქვეყნებული შრომები და საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წარმოდგენილ მოხსენებათა თემატიკა, მათი ჩართულობა სხვადასხვა სემინარებსა და ტრეინინგებში, აგრეთვე მიღებული სამეცნიერო გრანტები.

უნივერსიტეტში მოქმედებს გადამზადების ცენტრი, სადაც რეგულარულად ტარდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების ტრენინგები „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში“, რომელიც გაიარა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ განმახორციელებელმა აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების ნაწილმა (პროცესი გრძელდება). პროგრამაში ჩართულმა აკადემიურ პერსონალმა და მოწვეულ მასწავლებლებმა გაიარეს ასევე ტრენინგები როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები).

უნივერსიტეტში პერიოდულად ხდება უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიულ ზრდას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეტაპობრივად გადის სხვადასხვა სახის ტრენინგებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ეტაპობრივად კვალიფიკაციას იმაღლებენ მოწოდებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებას.

ცალკეული ფაკულტეტების და სტრუქტურული ერთეულების მიერ მზადდება ღონისძიებების კალენდარი, შესაბამისი ტრენინგებისა თუ შეხვედრების დაგეგმვის თვალსაზრისით, რომელსაც კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. კალენდარში მითითებული იქნება კონკრეტული პერსონალი სჩართულობის მიზნები და ვადები.

2019 წლიდან იგეგმება უნივერსიტეტის პროფესორის ატესტაცია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით. ატესტაციის მიზანია

კონკრეტული თანამდებობის მიხედვით ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. გაიწერება კვალიფიკაციის სამუშაო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის რეკომენდაციები და გონივრული ვადები. ვაკანტური თანამდებობების შემთხვევაში, საკვალიფიკაციო მოთხოვ-ნები განისაზღვრება, როგორც საკონკურსო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N24/6 დადგენილებით დამტკიცებული ,,თსსუ-სა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი“ - თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N24/7 დადგენილებით დამტკიცებული ,,თსსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პეროსნალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი - თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის N23/6 დადგენილებით დამტკიცებული ,,თსსუ-ში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი“ - თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 8 ნოემბრის N23/154 დადგენილებით დამტკიცებული თსსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV - თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N24/7 დადაგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N23/3 დადაგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისის სახელმ,წიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მოზნით განხორციელებული ღონისძიებები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათ-ლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპორტული ბაზები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენ-ტებისა და პერსონალისთვის. თსსუ–ში ფუნქციობს „თეატრალური დარბაზი“ (420 ადამიანის ტევადობის), სპორტული დარბაზი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის (აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით და საშხაპეებით), კალათბურთის დარბაზი, მინი ფეხბურთის ღია მოედანი. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების თანამედროვე ლაბორატორია, საჭიროების შემთხვევაში კვლევითი კომპონენტის ნაწილის ან სრულად შესრულება ხდება თსსუ-ს იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე. თანამედროვე, უახლესი აპარატურითა და ხელსაწყოებით აღჭურვილია პროფილური დეპარტამენტების ლაბორატორიები, მათ შორის:

მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი, ლაბორატორიული ლიოფილიზატორი, როტაციული ამაორთქლებელი, "ანდერსენის კასკადური იმპაქტორი", „ერვეკას" ხსნადობის, დაშლადობის, სიმტკიცის და ცვეთადობის ტესტერები, „ფრანსის დიფუზური უჯრედები". თანამედროვე სპექტროფოტომეტრები, ანალიზური სასწორები, ლაბორატორიული წყლის აბაზანები, ციფრული ვისკოზიმეტრი, ამწოვი და მაშრობი კარადები, იმუნიფერმენტული ანალიზატორი, ეთერზეთების მისაღები აპარატები, ცენტრიფუგა, მაგნიტური შემრევი, მუფელი, ქრომატოგრაფიული კამერები, უკუმცივარები, საცრების კომპლექტი, ერთპუანსონიანი მინი სატაბლეტე, ფოტოკოლორიმეტრები, პოლარიმეტრი, რეფრაქტომეტრი, წყლის გამოსახდელი აპარატი და ა.შ. ასევე ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევების მაღალ დონეზე ჩატარებას.

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკითა და ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით.

ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავებს (1 მთავარი და 2 დამხმარე), ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო ოთახებს, დამხმარე სათავსოებსა და სივრცეებს ბიბლიოთეკით მოსარგებლეთათვის.

სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით – მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებით, კონდიციონერებით და სხვა. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მულტიფუნქციური პრინტერებითა და პროექტორებით სარგებლობა. ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, 60 საათი. ბიბლიოთეკაში მომსახურება წარმოებს ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. სტუდენტებისა და პროფესურის მომსახურება ხორციელდება როგორც ადგილზე, ასევე ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის მეშვეობით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია (უკანასკნელი აღწერით - 330058 ეგზემპლარი), მუდმივად განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სრული წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აღრიცხულია და ინახება როგორც ჟურნალებსა და მატერიალურ კატალოგებში, ასევე ელექტრონულ კატალოგში, რომლის შევსებაც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო პლატფორმა Koha-ს გამოყენებით. ელექტრონული კატალოგი განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: http://new.tsmu.edu/library/. მარტივი საძიებო სისტემა ადვილად ხელმისაწვდომს ხდის სასურველი ლიტერატურული წყაროს მოძიებას.

ახალი ლიტერატურის შეძენა ყოველწლიურად ხდება დეპარტამენტების წარმომადგენელთა, მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, 2018-2019 წლებში, ზემოაღნიშნული კონტიგენტის მოთხოვნით, თსსუ-ის მიერ შეძენილ იქნა 337734 ლარის ღირებულების ლიტერატურა. 2019 წლისთვის, დამატებით, გამოწერილია 34 დასახელების პერიოდული გამოცემის დარგობრივი ჟურნალი, რომლებიც არ იძებნება საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში ან იქ სტატიები დაგვიანებით ქვეყნდება სრული ტექსტით.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მაღალი სიჩქარის ინტერნეტით. რეგულარულად მიმდინარეობს როგორც საუნივერსიტეტო ქსელში ჩართული კომპიუტერების, ასევე უსადენო Wi-Fi ინტერნეტის ხარისხის კონტროლი პირადი მოხმარების ლეპ-ტოპებისთვის, სხვადასხვა პლანშეტებისა და მობილური ტელეფონებისათვის.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ

საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.

ბიბლიოთეკის მუშაობის შესაფასებლად ჩატარა სტუდენტთა გამოკითხვები, ბიბლიოთეკის მომსახურების, მათ შორის, სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის, სასწავლო მასალების, ახალი პროფესიული ინფორმაციის შემცველი წყაროების ხელმისაწვდომობის შესახებ, რის საფუზველზეც მისი მუშაობა შეფასდა დადებითად.

თსსუ ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი და ცენტრალიზებული გათბობის სისტემებით, სველი წერტილებით, ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი სახანძრო ონკანებით, მითითებულია ტელეფონის ნომრები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. უნივერ-სიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მუდმივად განახლებადია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის, ისინი ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ.

უნივერსიტეტი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უზრუნველყოფს პრაქტიკის ბაზებით, რისთვისაც მათთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- თსსუ–ის ბიბლიოთეკის დებულება, თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2012 წლის 25 ივლისის23/6 დადგენილება.
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება მაგისტრანტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგების მიხედვით მოპოვებული გრანტით ან მათ მიერ. მაგისტრანტს ასევე შეუძლია კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად საგრანტო დაფინანსება მოიპოვოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ყოველწლიურად გამოცხადებულ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში. ზოგადად, თსსუ-ში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საფაკულტეტო და უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემო-სავლებისა და გასავლების-ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ფარმაციის ფაკულტეტის ბიუჯეტში ცალკე იქნება ასახული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ ბიუჯეტი, რომელიც მისაღებ კონტიგენტზე - 15 სტუდენტზე გადაანგარიშებით ორი წლის განმავლობაში შეადგენს 96000 ლარს. მოწოდებული სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, აპარატურის, ინვენტარის, არსებული

ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. დღეისათვის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას მაგისტრატურაში სასწავლო პროცესი და კვლევითი კომპონენტი განხორციელდეს სრულყოფილად და თანამედროვეობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 24 აპრილის N23/5 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანამთლებლო პროგრამის ,,ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიების“ ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულების და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, თსსუ-ს აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და

სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, ასევე, სამეცნიერო ღონისძიებებში, მათ ორგანიზებაში, საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას და სხვ. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას. მოწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის პროცესში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დეპარტამენტები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საინფორმაციო და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს თსსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შემუშავდა სტუდენტთა გამოკითხვებისა ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა. ფაკულტეტ(ებ)ის ხუს სრულად იყო ჩართული ფარმაციის ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების (ანუ, სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის) შეფასების კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავებაში. ყველა ახალი, ან განახლებული საგანმანთლებლო პროგრამა ფასდება დადგენილი კრიტერიუმებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი და ანალიზური სამუშაოს პერიოდულობა ასეთია:

- საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ცალკეული კომპონენტის (მეტადრე – სილაბუსების) შეფასება - სასწავლო წელიწადში ერთხელ მაინც;
- სტუდენტთა შეფასებისა - სემესტრში ერთხელ მაინც;
- ბეჭდური სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციისა - საჭიროებისამებრ;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა - სემესტრში ერთხელ მაინც;
- პროგრამაში ჩართული პერსონლის შეფასება და თვითშეფასება – დადგენილი ფორმით და პერიოდულობით.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ძირითადად მომზადდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია თსსუ-ს ფარმაციის

ფაკულტეტის საბჭოს მიერ. თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ეტაპობრივად ჩართული იყო როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ასევე შესაბამისი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.
- თსსუ-ს 2018-2024 წლ;ების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი.
- თსსუ-ს მაგისტრატურის დებულება
- თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N7, 2018 წლის 25 აპრილის დადგენილებით ,,თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტს საგანმანათლებლო პროგრამაზე სამუშაო ჯგუფების დამტკიცების შესახებ
- თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი
- თსსუ-ს ხარისხის უზრუნვეკლყოფის სამსახურის კვლევები
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა და სხვ.), განიხილავს და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით. პროგრამის გარე პროფესიული შეფასება განხორციელდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მიერ, რომელმაც მოიწონა წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან გამოთქვა სურვილები პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის, კერძოდ: მაგისტრანტს უნდა მიეცეს უფრო მეტი საშუალება თავისი მომავალი საქმიანობის სფეროს, სპეციალობის განსაზღვრისათვის, რაშიც მას დაეხმარება არჩევითი სასწავლო კურსების სიმრავლე; პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის სასურველია უცხოელი პროფესურის უფრო მეტი ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის გარე შემფასებლის მიერ გამოთქმული შენიშვნები გაითვალისწინა, რა სამუშაო ჯგუფმა არჩევითი სასწავლო კურსების რიცხვი ამ ეტაპზე 10-დან გაზარდა 14-მდე. რაც შეეხება პროგრამის გარე შემფასებლის მეორე სურვილს, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი პროგრამების („სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“) საჭიროებისათვის თსსუ-ის მიერ 2019 წლის მაისში ლექციების ჩასატარებლად გერმანიიდან, ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტიდან მოწვეულია პროფესორი, რომელთანაც იგეგმება ხელშეკრულების გაფორმება ახალ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ განხორციელებაში მონაწილეობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები

სამაგისტრო პრაგრამის გარე შეფასება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ინტერნაციონალიზაცია
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით წლების განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. 2018 წლიდან ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შემუშავდა სტუდენტთა გამოკითხვების და დამუშავების ელექტრონული სისტემა. პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე,

დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სხვ.) და გარე (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ.) შეფასების მექანიზმების გამოყენებით, სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, განიხილება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების ან/და არჩე-ვითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლები სმეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი. მაგალითად: მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების („სამრეწველო ფარმაცია“ და „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“) კურსდამთავრებულების გამოკითხვის დროს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პროფესიული სიახლეების, ინოვაციების სწავლების აუცილებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ახალ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შევიტანეთ ახალი სასწავლო კურსი: „ტრადიციული და ახალი თაობის სამკურნალწამლო ფორმების და სისტემების ტექნოლოგიები“. მაგისტრანტი სიღრმისეულად ისწავლის და დაეუფლება არა მხოლოდ ტრადიციულ, არამედ ახალ, ინოვაციურ სამკურნალწამლო ფორმებისა და სისტემების ტექნოლოგიებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიების“ განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სამაგისტრო ნაშრომების ხარისხობრივ შეფასებაზე და დაცვის მონიტორინგზე. სტუდენტთა მიმდინარე და საბოლოო შეფასების მონიტორინგი მოემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“, განხორციელების პროცესში პერიოდულად მოხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების (უკრაინის ნაციონალური უნივერსიტეტი, ქ. ხარკოვი და მარსელის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტი, საფრანგეთი) ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის N24/2 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლუილებების შეტანის და გაუქმების წესი
- თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები
- თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი.
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N24/6 დადგენილებით დამტკიცებული ,,თსსუ-სა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი“

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სხვა უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება
- საგანმათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა შაშიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

ლანა ბოკუჩავა